 წინ საუკარო საფრთხეს არ დაბეჭდვებს. თუ მე ჩემი სიციხეზე უფრო
 ვივრად მიიბრუნ, ვიდრე ჩემი სატრფი, მე მაშინ მხოლოდად ჩვეულებრივი
 მოტრფილად ვარ“ (დენი დილირი).

ვიყვარებ სხვანაირს გრძობის დედას მწვერივებს მთელი სისათვის, გრძობ-
 დე უსიამოვნებას სიამაყის წინაშე, ამაყობდნენ იმ მომენტებში, რომელიც
 აღდგინაზე ცხოვრებასთან არის დაკავშირებული. ყოველ სქესს მწვერივ-
 ბისავე ტოლტყვისა და სიყვარულის გამოვლენის სახეეფიერება თავისებურ-
 ება აქვს. ქალი ამწვერივებს „მარად ქალური“ სრუტავს, კაცს — „მარად
 კალური“. მხოლოდ ჩემშიინი ტანგარჯობა—ლუბილი სავიყვარე თავი
 უნდა. სილამაზის ასაკი“, გულწრფელად გვიჩვენებს მარად ქალურობის
 საიდუმლოებას ამისი საეთარი პრინციპებს.

სინამდვილის ესთეტიკური ათვისების ცენტრში ყოველთვის დგას ბუნება
 და ქალი. ხშირად, ჩვენს პირველ წარმოდგენა მწვერივებაზე დაკავშირე-
 ლისადა ქალთან. მწვერივება შემოდის მისი ქალური სულის, ტრფივით
 დანსილული თვალისი მიმობეღვლობით, მისი დილობის დამატყვევებლობი-
 ბით, მისი აღდგინილი სიარულის მანერით. მართლაც რომ ძნელია ასეთი
 ქალური „სისუბნების“ წინაშე თავისთვის გრძობითი არ იმპეტალეობი
 მამაკაცს.

თავის მხრივ განსაკუთრებული მიმობეღვლობა აქვს კაცსაც. ინტელექ-
 ტუალური, ფიზიკური და სულიერი ძალაგებას, სინამდევ, პატივისცება, მ-
 რალური სიმბავის, სრავდა საკმირს საწყობა სასაფხად და სხვა კაცს
 მწვერივების მაცლით მოსახს. „სიყვარული“ და „ქალური“ ადრესის სიამ-
 ნიხე მოათქ. „ლტევი ლობის სრუტავს.“ — აღდგინაზე თავისუფლებანი
 გააანაბრებულ ქალსა და კაცს უფლებების უთანაბრებას.

იხვე ამზარუნია მამაკაცური კენების მქონე ქალი, როგორც ქალურად

„ჩამოიწილი“ მამაკაცი. ვთქვამთ: „არც ერთ ქალს არ აქვს ადვილი
 დასახელი გამოიწილი მხედარი იყოს, ღონიერი, კარგი მსოფლიო. ჩემ-
 მიკვლედ რომ ვთქვათ, სწინდეს უხვად რუსეთის სიამაყის წინაშე.“
 აგრეთვე ვერც ერთს ნაწილის მამაკაცს ვერ დასასუბნებ, თავი მიწინ-
 დეს მითი და ყურთობდეს, სახეიერია „ქლისა მგებელი ვრობა“. ამ რ,
 არსებობდა განსხვავებულ, სქესს სიყვარული აქვეყნს ხოლმე ერთიან დად-
 მაგანა სიყვარულიც ნიჭია იხვე, როგორც ესთეტიკური კეთილგანა. შეიძლება
 მისი სურვილი შეიშლეს და ბუნებრივ გაყოფილებილებაც.

მშალი, გონებრივი ძალდატანებით, გრძობისა ბუნებრივი ლტობის
 გარეშე, წარმოდგენილია მიმობეღვლობა იყოს სიყვარული. ერთგვარო-
 ნება, ფიზიკური და სულიერი „გალამაზების“ უნარიბა მიმობეღვლებად
 აქვეყნს მის. შესანიშნავად ამბობს ბელნილი: „სიყვარული იხვე მრავალ-
 გვარია, როგორც მრავალია დღემამწიხე ადამიანი, იმიტომ რომ, თვი-
 თულის უწყობა თავისი ტემპამეტების, სახისათა, წარმოდგენილობის და
 სხვათა შესაბამისად, და ყოველი სიყვარული თავისებურად ექმნებათი და
 მწვერივთა, ოღონდ რაკ იგი გულში დგას და არა გონებაში“. მაგრამ ზოგ-
 ჯერ მამაკაციც „განსაკუთრებით აღმარებულნი არიან სიყვარულზე, რი-
 მელიც უმეტესად წარმოდგება. ისინი ვერცხენ სიყვარულს სიზრ-
 რამას, შემდეგ ექმნენ თავის შესავარებას, ხოლო ვიდრე ასეთი არ სჩანს,
 ჯერ-ჯერობით რომელიც თავის უყვარა... მათი მიაყარი საზრუნეისი არის,
 რომ სიყვარული გამოიწილდნენ დიად აღდგინაზე და არაერთი არ დაქვე-
 ითდნენ ჩვეულებრივ აღდგინაზე მამაკაცებისა“¹¹.

როგორც ვთქვით, სიყვარულს, ისევე როგორც მეგობრობას, რამე მი-
 ზეში უფეს საყვარელია. მაგრამ სიყვარული მიზეზის გავება მტყად ძნე-
 ლია. იგი რამე, ადვილად შესაძლებელია განსაკუთრებულ ნიდავცად არ წარ-
 მოიქცება; აქ რაღაც არის ბუნების საიდუმლობა, და იგი, მართლაც
 ზებუნებრივი, როდნაც სიყვარული ცველას თანასწარმებს, მისთვის სულ
 ერთია მიღიარა თუ დაღინა, მტვირი თუ მოყვარე. შექმანის რომის ერთის
 ნახევი შეყვარა თავისი მოწინააღმდეგე გვარის წარმომადგენელი კალტუადა.
 რუსთაველის ტარებულად არის ნახევი შეყვარა ნესტად დაწვინა. აქ
 თითქმის მიზეზი მხოლოდ გარეგნობაა, მაგრამ ამ გარეგნობაზე უთუოდ
 არის რაღაც განსაკუთრებულიც. ე. ი. გარეგნობაში ზოგჯერ შეყვარებული რა-
 დის საიდუმლო ძალით, მეგრების სულაც ხდება, თორემ რომის ამ ტა-
 რიელს, ნამდევ (ე. ი. ვიდრე ნახვლებზე ჯიუტობას და ნესტანს) მწვერივ-
 ბისავე გარეგნობის ქალბები უნახევი, მაგრამ არ შეყვარდებიან. ლტერა-
 ბისათვის: ტარობისა და ნესტანის, რომისა და ჯიუტობისა. სინამდვილე-
 ში: პტირარაცა და ლუჩას, დანტასა და ბეტირისა, გარნილობისა და
 ანისა... სიყვარული წარმოქმნილია ერთმანეთთან პირველადვე შეხედარა-
 ზე. მაგრამ მისი მიღლი რიგი მაგალითობას, როგა სიყვარული წარმო-
 იქმნება განსაკუთრებით, თვალსაჩინო მიზეზების საფუძველზე. მაგალი-
 თად: შექმანის ტოლტყვე შესანიშნავად გამოხატავს იმ თვალსაჩინო მიზეზს,
 რომლის ნიდავცაც წარმოიქმნა მისი და დღესდღეობის საფუძველი. „ჩვენგან
 გამოხატული ერთობის მან მე შეყვარება, მე შეყვარებულნი ვართა თანა-
 გრძობისთვის“ — ამბობს და და ეს ამის ნიშნავს, რომ სიყვარული
 და მეგობრობა ურთიერთობა იტვლილას და დღესდღეობის შორის, ერთ მილი-
 თად კავშირში წარმოიქმნა, ურთიერთგაგებას და თანაგრძობის საფუძ-
 ველზეც. ცბადია, ასეთი სიყვარულის საწყისი მტყვევა და მომავლიც სისი-
 ვარული აქვს, თუ ეს ზელი არ შეუშლავს აუცილებელა შემთხვევითობას.
 მეგობრობა და სიყვარული აღდგინა მალას მატებს და ატკობს ხელის.
 სიტყმულად ალტყვე ცხოვრებას წინსვლისათვის, სიკეთისათვის ბრძოლისათ-
 ვის, ხელს უწყობს შრომაში, სისარულსა და ზედინერებას ანებებს მას,
 მაგრამ როგორც სიყვარული (ცალმხრივი სიყვარული ზემოთ აღმართულ
 ღირსებების წინააღმდეგ მოქმედებს. ნამდვილი სიყვარული კი ორივე მხარ-
 ის შეთანხმებას.

მეგობრობის სრულყოფილი სიყვარულთან ერთად, ასევე სიყვარულიც
 სრულყოფილია მეგობრობისთან ერთად. ორივე ერთ უნდა იყოს მწვერივობი,
 რომ შეიძლება მკვიც გადგებოდას ადამიანი, რომელი უფრო ძლიერად ამო-
 ძრავებს მას, როგორც ამას პოეტურად გამოხატავს ადამ მიყვარელი:

...
 „...ოცა სიმღერას შენი სახე გულში ბაღებდა,
 მოლოტი სულს ჩემს ბაღს არ ამობრავებას,
 თითონ ვერ კიბევი, ვერ გამოსთქვამს მტკისნი ბაგენი —
 ამ უშუაწილველს, ნათლ აზრებს ვით მიყვარე —
 რას შთაფინა გულს ასეთი ტრფობა გყოლოც:
 რას იმის გრძობას მეგობრობის და სიყვარულს“¹².

ნამდვილი მეგობრობა მამიანა, როგო თითოეული მათგანი აღმოცხვრი-
 ლია ცვლილები გრძობა. ცბადია ცხოვრების სრული აღმოცხვრელებზე
 ხელია, რადგან გეოშიში თავისთავად თან სხვეს სუფილ ჰუმანისტ ად-
 მინასაც. ჰუმანიზმი ადამიანის მოვალეობას საყვარელი „გეოშიში“ გაცე-
 თობლობებს. როცა აღდგინა ცილობის აღმობრობის, ცვლილები ნაყოფი თავი
 მისი მეგობრობა და მიუთისის, რამდენდაც შეუძლია, დაფარვის კიბედ ამ
 ნაყლის აღმოცხვრებას. ამას აკეთებს იმიტომ, რომ მას ეს სიამოვნებს. სია-

მოგებას, რომ მეგობრისადმი დახმარებით მან მეგობრის სიყვარული ან პატივისცემა დაამსახურა და რაზეც პატივისცემა და სიყვარული ემსახურება ისე მისი სიამოვნებას და კმაყოფილებას—თავისთავად ვერცხვად ვერგზნა მკარან ეს თანდაყოლილი ვიწრობა, ადამიანურად გაკეთილებული და ჰუმანიურად გამართლებული.

მეგობრობის სუვერენი ისტორიული ფაქტია ტარას შეფერვისა და ზან-ვიკი მამიბროს—აირა ოლრიჯის მეგობრობა. ისინი გაყვევენ და დღემგებრ-დნენ ერთმანეთს გასული წლების 50-ამ წლებში, არ ნიშნავდა იმას, რომ ოლრიჯ-სა აუცილებლად უნდა მოსწონებოდა შეფერვი, რაც, ცხადია, მეგობრობას ვერ შექნის. თავის მხრივ, ოლრიჯსაც შეეძინა და შეუვარდა შეფერვი, რაზეც მათ მიერ მეგობრობა განაპირობა. ოლრიჯსა შეფერვის სახით ნახა ადამიანი, რომელიც ისეთივე აბაბოლად წარმოიხატებოდა, როგორც თვითონ, და, ამავე დროს, ისეთი იდეების გამომხატველი, როგორც ის თანაურებოდა. ოლრიჯი მოხიბულა აგრეთვე მის მიმართ შეფერვის თანაგრძობაში. ოლრიჯიც, თავის მხრივ, დიდ თანაგრძობას აუღწერდა შეფერვისადმი. თანაგრძობა, ურთიერთპატივისცემა და სიყვარული გახდა მათი ანდამული მეგობრობის მიზეზი. მე ოლრიჯი მკვარს და თანაურებობის ძანზე შეტად—ამაობა შეფერვი.

მეგობრობისათან ახლი დგას ამანაგობაც, მკარან ამანაგობა მანც სულ სხვად. ნამდვილი მეგობარი შეიძლება გაეფხოს არც ისინი, მკარან ნამ-დვილი ამანაგო—ურბეტი. ამანაგის ვერ გახდობს ყოველიც ისინი, რასაც მეგობარს, მკარან ვინაიდან სასოვადგობა სწორედ ამანაგობის ურთიერთ-გამიზნისაგან შესდგება, აუცილებლად ცალკეული მეგობრობის კავშირი ფართო სასოვადებრე ამანაგობისათან. წარმოდგენილი ცხოვრობდ სასოვადებრად და შენი არსებით არ ეკუთვნის მას. სასოვადებრისაგან გათიშული მეგობრობაც შეუძლებელია. განსებითი ვლადიმერ მაიაკოვ-სკის სიტყვები:

Плохо человеку, когда он один.
Горе одному, один не воин...
А если в партию стуртятся малые,
Сдайся враг, замри и лял!

უფერულია, როცა შეყვარებულთა ინტერესები არ უკავშირდება სასოვადებრებს.

ადამიანი, რომლის ძირითადი დახმარებასთებელი თვისებაც გვიჩინო, ნი-ზარა ლაპარაკის მეგობრობასა და სიყვარულზე. ჰუმანურობასა და კოლექ-ტიურ გრძობისა და საკმითი კი სარწმუნოდგობა მოუძღვება. ამის მხარე-სადაც მზადდა არსებობს ცხოვრებში. მათ მიმართ, რასაც ვერცხვად, გულწრფელი არ რწმება მსატრეტელი სოროვნება. კ. ჩუკოვსკი თავის მიზნო-რბაში „საიდუმლოება“ გვიჩვენებს სიმძალისა და გვიჩინოს მკაცლობის ძველ გინასაში. ზოუზია კოუსტინი ნინეშვიც გადაგვად აღდურნა, ნათესაი მდღერად ადამიანის შეიღის—ტურქინიანს რჩებუთ. საკმე „გამორიკაც“ და დანამაგულ შეფერვის არა ტურქინიანს, არამედ ამ მშობს ამოგარებულ—ერთ-ორი მონი დატკივ ადამიანის შეილი, რომელიც გამრტებს გინასაშიცადა. დამა-კოვლი ბაგუერი ტრალით მივიდა ტურქინიანსთან, რათა მოლაპარაკებოდა მას იმისი, რომ ვლადიკინის თეთროს ტურქინიანს თავისი დანამაგული, მგ-რან გათავებდებოდა ბიჭუნად და მისმა დღემ გვოსტობდა გამოისტურებს იგი:—სწავლა არა ყველაათვის სავადლებელი, არ შეიძლება ყველა გა-უტრალივად ვლადინიანს ტურქინიანს და დამკვიფრდნენ იმით, რომ უდა-ნამაგული დამკველ ბიჭს მისდეს რამდენიმე ხუროთხიანის, ნაცვლად იმისა, რომ დავაით იგი. ამრიადა, გინასაშიდან გარეშდეს ის, ვინც უდა-ნამაგული იგი. მართალი ბიჭუნა მხეველია სხვებაც გვოსტი მეგობრობისა.

კ. წარბეგლბა პიუმში „გამორბელო“ დაგვიბატა აგრეთვე ფიფის გამ-ტების, მეგობრის სახელის შემარტებელი ადამიანის—სადარ-ბეგის სახე-ცვლილ ერთხელბებას და მეგობრობის მკაცლობის გვიჩვენებს ბენ-ჯონ-სონი თავის კომედიებში, მაკსიმორ—იავოსა და ოტლოის, შილერი—მქების ფრანც ბოროის და გერლ მოროის, ჰუმბერტი—ნიგენინისა და ლუსინას, გოგოლი—ივან ივანოვიჩისა და ივან ნიკოლოვიჩის, თვეყრე—ილილია სედლისა და ბეკი შარბის სახით და სხვ.

თანამდროვე „დასავლეთის ცივილიზაციის“ მითს აკრიტიკებს დასა-ვლურდგებულ პროფესორ იოჰან ბონდერი წიგნში: „თანამდროვე მა-მაკიცი, მისი სახე და ფსიქოლოგია“. იგი გულსტკივლით უტურებს თავისი სიკვების რტადებისა და გულწრფლად დასაქვინის, რომ—ქალის „ღვთაებ-რები“ სილამაზე ახლა მეტისტური იფიკალია, „მანადებლურობა“ სულ უფრო და უფრო კრება და, რაც უფრო, ის უფრო „სორიცილია“, ვიდრე კალური, ანუ, მან არაფერი აქვს საფრთხე მართალივად, წარკავდნენ. „მამაკაციან ახალი ურთიერთობის გამომუშავება თანასწორუფლებიანობაზე,

სიცილურ და პოლიტიკურ აქტივობაზე ნაკლებმნიშვნელოვანი ამიკანა

...ჩვენც არ რწმება იმნი ნორმალურ საუბრისათვის, რომელიც სიყვარუ-ლის ასინის დასაწყისი კია არა, მისი გაგრძელება და კულმინაცია ეწებო-ბად. ფაქტი, ემოციური გრძობის კარგად გასტრებული, ლტოკიერი ფრ-მით გამოცხვება წყლის ნავად ითლებდა. რადა საჭიროა დროის გადგნა ინაზე, რასაც ირიოდ უსაყვარლო იტყვი. ვერსილების პრეცესი გამას-ნარეველია...თანამას თუ არა, რომ ცილად გამოცხვებ?— ეკითხება კაცი ქალს და ქალი დაუფერებლად პასუხის: „ო კვი!“.

როცა მეგობრობის სრულყოფილებაზე ვლამარბობთ, გასათვისონენ-ბელია მისი პირობითი ხასიათი როგორც არ არსებობს აბსოლტური სრულ-ყოფილება. ასევე არ არსებობს აბსოლტურად სრულყოფილი მეგობრე-ობაც. მეგობრობა სწრაფად სრულყოფილად, ბრძოლა სურვილის განხორციე-ლებლისათვის, თვით მეგობრებსაც კი სიყვარულის გამო ბევრს ვაპატებთ არა-აბსოლტური სრულყოფილებითაგან.

ჩვენიშეყავი თავის შრომაში: „სელოვნების ესთეტიკური დამოკლებები“ სინამდვილად— წყნს, რომ: „ნამდვილ მეგობრობის ძალიან ბევრეც რომ იყოს მნიშვნელოვანი ნაკლებებანი, ჩვენ მანც დავკავშირდებით მითს“¹⁴. „...ნამდვილი სიყვარული გამტყველები ადამიანი არ ფიქროს ინაზე, არამც თუ არა უკნაინი იმ ქალზე უკუთხინი შეუვარდებელი, რომე-ლიც მას უყარვს: მას საკმე არა აქვს სხვასთან; მან ძალიან კარგად იყის, რომ მის სატრფოს თავისი ნაკლი აქვს, მკარან მის ქაქებაში მის ნაკლია? მას მანც ხომ უყარვს ის ქალი, ის ხომ მანც ღალბისა და სანუკუნო, სა-ყვარული რა თუ იქვენც მას ანალთობი ჩვენებას“ დაუწყებ, ამის ის აბსოლტური სრულყოფილება? არ არის, ის იქვენც გტყვებთ: „მე იქვეზეს უკვი და უფრო მეტად ვატი ყოველივეც მე, მკარან მე თუ მამში ძალიან ბევრ ნაკლს ვხედავ, მანც უფრო მეტს ვხედავ მამში სიყვარულის ღირსს. ბოლის მე ის მკვარს ისეთი, როგორც ის არის:

Можно краше быть Мери,
Милей Мери моей,
Но нельзя быть милеей.

ასეთია ნამდვილი ჰუმანიტი სიყვარული, რადგან მას ურყევი საყუ-ველი, სიყვარულის მტკიცე საყუველი გაჩნია. ასეთი სიყვარულის ჩამ-კლა უფრო ძნელია, ვიდრე მეგობრობისა. ნამდვილი სიყვარული იბადება მანში, როცა ვაქსა და ქალმშობის სურთ შექმნან ოჯახი და არც ერთი ვერ პირობება არ გამოიწვევს მათში ამ გრძობის, რადგან ოჯახი კმების სიყვარულის გვიჩვენებს.

ვისაც კი უნახავს კარის „ცისფერი გამოქაბაბლი“, აღტკვებულე დარ-ჩენილია მისი განსაცვიფრებელი სილამაში. თურმე, ამ ჯადოსნურ გამო-ქაბაბლით „შესტკვლის რომი მითი ამ იფრთხი—შეუძლებელია, მკარან გამო-სხვების რომ აღტკვებული არ დარჩენი—ქსეც შეუძლებელია“¹⁵. მეგობრე-რებაც სწორედ კარის ამ განსაცვიფრებელ „ცისფერ გამოქაბაბლზე“ გაგეს-ამ საყაროები შეგვლა იქვე ძნელია, როგორც „გამოქაბაბლი“, ვერ მოკრძალებული უნდა დიხარო, რათა სილამაში გათვრებულმა უკვი არ ატაკო თავი თხელად შესასტკვლი, შემდგ, რაც უფრო ვრცელი, წელბად ამჟავად იხართვი, ამ განსაცვიფრებელი მეგობრობის საიდუმლოებანი წვდობის შეწყობის ვერ ითვბ. მის უსაუღრმობას თადაპირველი ინ-სტიტუტური და შეუცვლელი ემოციონად დიდ ესთეტიკურ საიმომებელედ მალდებოთ. ცხოვრებასათვი უსაზღვრო და დამუთავრებელი უსაზღვრო-ბაც, ასევე დაუმთავრებელი სიხალდობისა და მეგობრობის შესახებ ჩვენი საუბარები...


ბ. ლასლი

შენიშვნები:

- ¹ გახ. „საბჭოთა აჭარა“, 1969 წ. 6 ივნისი.
- ² А. И. Буров, Эстетическая сущность искусства, стр. 239.
- ³ В. В. Ванслов, Проблема прекрасного, М., 1957, стр. 146.
- ⁴ ა. ბორონილი, „განტის ესთეტიკა“, გვ. 187.
- ⁵ Имануил Кант, Сочинения в шести томах. т. 5, М., 1966, стр. 361.
- ⁶ Л. Н. Столович. О двух концепциях Эстетического, «Вопросы философии», 1962, № 2, стр. 115.
- ⁷ Г. Волхов, Рождение гения, «Молодая гвардия», 1968, стр. 25.
- ⁸ გ. დ. ნამდვილი, ყოვცა, „განაბლება“, თბილისი, 1969 წ. გვ. 362.
- ⁹ გინასტრეფი გამასაურელი. რეკული თხზულებანი. ტ. VI. „საბჭოთა მწერალი“, 1963 წ. გვ. 517-520.
- ¹⁰ Е. ჭავჭავაძე, ესთეტიკის საკითხები. „საბჭოთა საქართველო“, თბი-ლისი, 1958, გვ. 217.
- ¹¹ ბუტისონი, ჩრ. ფილოსოფ. თხზ. თბილისი. 1948 წ. გვ. 736.
- ¹² ანდ მკიცყერი. რეკული. თბილისი. 1951 წ. გვ. 16. ოთახგნი.
- ¹³ კორბასია.
- ¹⁴ გახ. „ლიტერატურული საქართველო“, 1969 წ. 22 აგვისტო.
- ¹⁵ Е. ჭ. ჩვენიშეყავი. ჩრ. ფილოს. თხზ., თბილისი, 1946., გვ. 653.
- ¹⁶ გ. ჯიბლაძე, ესთეტიკური თეორიის საკითხები. „საბჭოთა მწერალი“, 1961 წ.

თელავის თეატრის რეპერტუარი

მიხეილ ზურაბიშვილი



რეჟისორი გიორგი აბრამიშვილი, ხელგეხების დამსახურებული მოღვაწე

ბ. ნუშია — „ფილოსოფიის
ლოქტორი“. სცენა სპექტაკლიდან



მასტრის დიდმა კორიფემ კოტე მარჯანიშვილმა ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო-თი“ მიულოცა თელაველებს 1925 წლის 28 ივნისს თეატრის ახალი შენობის გახსნა.

კოტე მარჯანიშვილმა ლენტი გაჭრა, სეზონის პირველი ფარდა გახსნა და თვითონ წარმოთქვა სიტყვა. ზაქარია ჩხიკვაძის გუნდმა „ინტერნაციონალი“ შესრულა. მარჯანიშვილმა თელავის თეატრს გმირული რომანტიკული სული შთაბერა და რევოლუციური პათოსით აღანთო. სწორედ ეს გმირული რომანტიკული სტილი იქცა თეატრის მთავარ მიმართულებად. ამ სულისკვეთებით განხორციელდა ს. შანშიაშვილის „ანზორი“, კ. კალაძის „ხატიჯო“, ბ. ლავრენჯიას „რღვევა“, კორნეიჩუკის „პლატონ კრენიტა“, გ. მდიენის „ბრმა“, ლ. გოთუას „ერეკლე მეორე“, ე. შილერის „ფეცსკო



რაფიელ მამულაშვილი — „თორტიზელი ქალიშვილი“.
ვენერა ფეიერიშვილი თინა იოსებისძის როლში



შეთქმულება“, შექსპირის „ოტელო“, შ. დალიანის „ნაპერწყლიდან“, გუცკოვის „ურიელ აკოსტა“, სუმბათაშვილის „დალატი“ და სხვ. სპექტაკლებს დგამდნენ რეჟისორები: ვახტანგ გარეჯი, ვახტანგ აბაშიძე, გიორგი როსება, მიხეილ შემართაშვილი, ალექსანდრე მიქელაძე, გიორგი გაბუნია, ნიკოლოზ ხორავა, გიორგი ხელაია; როლებს ასრულებდნენ უკვე გამოცდილი ოსტატები: სერგო და ბუხუტი ზაქარიაძეები, ნუნუ მაჭავარიანი, ართო ლოლუა, ვახტანგ ჩელთისპირელი, ალექსი კუპატაძე, ვახტანგ არეშიძე, მარკოზ ლეკიშვილი, თიკო ღვინიაშვილი, ნიკოლოზ ხორავა, ქეთევან და გრიგოლ კველიშვილები და სხვ.

თანდათან მტკიცდებოდა თეატრის ესთეტიკური პრინციპები, თეატრი დღესაც ღირსეულად აგრძელებს საუკეთესო ტრადიციებს.

ხელოვნების განვითარების მთავარი ხანა ხალხთან კავშირის განმტკიცება, სინამდვილის მაღალმხატვრული ასახვა და ყოველივე იმის მხილება, რაც ხელს უშლის საზოგადოების წინსვლას — განაცხადა საუბარში თეატრის დირექტორმა გერ-

ვასი ცხადაძემ. ამ პრინციპებზეა აგებული სწორედ თელავის თეატრის ახალი რეპერტუარიც.

თეატრის უკანასკნელი დადგმა — ლ. ჭუბაბიას „წინადილი“. პიესის ავტორი ამხელს ჩვენს საზოგადოებაში შემორჩენილ მავნე გადმონაშთებს, ბიუროკრატისმა და კარიერიზმს, მნიღვენელობას და ფარისევლობას. ეხება ახალგაზრდობის მტკივნეულ მხარეებს.

სპექტაკლის ავტორი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გიორგი აბრამიშვილი ღრმად სწვდება პიესის დედაზრს, რეჟისორულ გადაწყვეტაში სიახლეების შეტანით ავსებს და ამდიდრებს მას. სპექტაკლი ძლიერია იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით. მაცურებელი დიდ ესთეტიკურ სამომენტებს და მორალურ კმაყოფილებას განიცდის.

მაცურებელი ხედავს ჩვენი ცხოვრების უარყოფით მხარეებს, მაგრამ დარწმუნებულია მის შემთხვევითობაში, რომ ჩვენი საზოგადოებისათვის ასეთი მოვლენები ტიპიური არ არის. ჩვენში არ არსებობს სოციალური საფუძველი იმისათვის, რომ საბოლოოდ დამახინჯდეს, დაიღუპოს და-

მიანი, რადგან იგი გარემოცულია საბჭოთა პუმაინოში.

„ლამაზი ის როდია, რაც თეატრალურად ამრავებს და აბრუნებს მაცურებელს, ლამაზია ის, რაც ამოღებს დაბნაძს სულიერად სცენაზე და სცენიდან ე. ი. არტისტა და მაცურებელთა გრძნობებსა და აზრებს“ — თეატრის დიდი რეჟისორის კ. სტანისლავსკის ეს აზრი გაუხდიათ სახელმძღვანელოდ თელავის თეატრის რეჟისორსა და მსახიობებს. ეს თქმის თითქმის ყველა შემსრულებელზე. განსაკუთრებით კი დამსახურებულ არტისტ თინათინ ბურბუთაშვილზე. მისი თამილა სპეტაკი შეუღლე, მზრუნველი დედა და კარგი გქიმია. მსახიობი ოსტატურად გადმოგცემს გმირის შინაგან განცდებს.

პიესის ცენტრალური ფიგურა ვარლამი (დამსახურებული არტისტი პოპატონ ახვლედიანი). იგი მამაცურად იბრძოდა სამშობლოს თავისუფლებისათვის. ფრონტელი გმირი დაფასეს და ტრესტის მმართველად დანიშნეს. აქ ვარლამში თანდათან იღვრებოდა პატიმრობა და ამპრატორობა, იპყრობს განდიდების მანია. როგორც ტიპური კარიერისტი, უფროსებთან მლიქუ-

ნელია; ხელქვეითობა — „ბრძანა“, ელაქუცვა ადამიანებს და ყველანიან ცდილობს ავტორიტეტი მოპოვოს. ოჯახში დესპოტის სახით გვევლინება, ამავე დროს ამ ზრუნავს შვილის აღზრდაზე და კატახტროფაზედ მიყავს იგი. ადამიანმა დაკარგა თავისი სახე. ავტორის საინტერესო აქვს გააზრებული გარდასახვა. ვარაუზი კარგავს ფოტოსურათს, რომელშიც თავის ფონზე ტელე მეგობარიანა გადაღებული. დიდი ხნის ძებნის შემდეგ სურათი მისმა ბიკაკალანებულმა შვილმა ბადრემ იპოვა. სურათის აღმოჩენამ დიდი გარდატეხა მოახდინა ვარლამზე, მან იპოვა თავისი სამადვილი სახე, იგი კვლავ ადამიანად იქცა ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. გარდასახვის ამ რთულ მომენტს კარგად ძივებს მსახიობი.

დიდი უბრალოებითა და შამიშქრდავად ანახიერებს კეთილი და პატიოსანი მოხუცი მასწავლებლის შალვის როლს დამასხურებულ არტისტს გიორგი მამუკაშვილი. „ნუ, ნუ მოკლავთ მას, გვედღერებით, ნუ მოკლავთ ნოდარს!... მუდარით მიმართავს მამუკაშვილი — შალვა მაყურებელს, ხალხს, რომლისგანაც მოვლის დამხარებას, თავისი საყვარელი შვილიშვილის გადარჩენას. ამ ვეერების მაყურებელი დიდი შინაგანი მულღვარებით ეხმარება. აქ ვიციღდება მსახიობის დიდი ზეგავლენის ძალა მაყურებელზე.

დასამსხორებელია ხულიან ტვისტის როლი დამასხურებული არტისტს ბეგლარ მარტიაშვილი. იგი მხოლოდ ერთხელ ჩნდება სცენაზე, რამდენიმე ფრწით და განმასახიერებელი მოძრაობით მაყურებელში უღიდებს აღფრთობასა და ზიზღს იწყებს. შთამოგონებელია მსახიობ აიჩან მასარაშვილის ნოდარი. იგი მუსიკოსია, სამშობლოს ღირსების დასაცავად საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე აპირებს გამგზავრებას. ნოდარი თავისი კეთილშობილური თვისებებით დაპირისპირებულია ხულიანებთან და ნაძირლობთან.

მსახიობ ა. იანიშვილის მიერ შექმნილი ბადრის რთული და საინტერესო იერსახე მაყურებლის დიდ მოწონებას იმსახურებს. მსახიობი განსაკუთრებით დიდ წარმატებას აღწევს სცენაში, როდესაც შეგრძნობს თავის დანაშაულს, უპირისპირდება მამას და ბრალსა სდებს მას. დასამსხორებელ იერსახეებს ქმნიან ახალგაზრდა მსახიობები არაიაშვილი (შვია), ე. იაგორაშვილი (მანანა), რ. თინიკაშვილი (ნუნუ). საერთოდ, ამ ანსამბლურ სპექტაკლებში კარგად იგრძნობა თანამედროვეობის მაჟისცემა.

თუ „წინაღედ“ ამხელს წარსულის გადმონათქმის, რ. მამულაშვილის „თორტიზელი ქალიშვილი“ ლამაზი პოემა ადამიან-

ის უკვდავებაზე, თინა იოსებიძის და მისი ძმის ლაგრენტი იოსებიძის გიზრულ შემართებაზე, სამშობლის დიდებაზე. ამ სპექტაკლში, რომლის დადგამც თეატრის მთავარ რეჟისორს გ. აბრამიშვილს გვეუთავის, შესანიშნავად არის შერწყმული გმირული სული და წარმატცი ლირიზმი. მსახიობთა თანამა ზომიერებას, უშუალობასა და გულწრფელობას, ლირიზმსა და პათეტიკურებას ორგანულად ერწყმის შესანიშნავი მხატვრული გაფორმება, რასაც აძლიერებს ეფექტური თეატრალური განათება, კარგად შერწყმული მუსიკა, გუნდი, ცხვენი. ყოველივე ეს მოცემულია მთლიანობაში და განაპირობებს სპექტაკლის დიდ წარმატებას.

სპექტაკლში საინტერესო იერსახეებს ქმნიან: რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები: ა. ახვლედიანი (ლაგრენტი), თ. ბურულთაშვილი (დედა), გ. მამუკაშვილი (მამა), ა. კუპატაძე (ივანე ბოიკო), ბ. მარტიაშვილი (სერჟანტი ლარინი). მთავერული ყურადღებას იმყოფს დებიუტანტები — რ. ბუჭუყრაშვილი (ილინა) და ვ. ფიქინიშვილი, რომელმაც ალექსანდრე 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ამ სპექტაკლში თინა იოსებიძის როლის წარმატებით შესრულებისათვის საპატიო სიგელი დაიმსახურა.

დაუვიწყარი იყო ამ სპექტაკლის პრემიერა. წარმოდგენას ესწრებოდა კოლოს რაიონის სიფელ თორტიზის კოლმუნერნობა დელეგაცია. აქვე იყო თინა იოსებიძის მამა — ლაგრენტი. დამთავრდა სპექტაკლი. მაყურებელთა ტაშის გრილში სცენაზე ავიდნენ სტუმრები. იოსებიძის ძმამ გულში

ჩაიკრა საყვარელი და თინა — ვენერა ფიქინიშვილი და ატირდა, ტიროდა მაყურებელიც, მაგრამ ამ ცრემლებს თინა ურთივლად დიდი ოპტიმისტური ჩრქუნა.


სასულიანო კომედიის 50 წლის იუბილეს მიუძღვნა თეატრმა აგრეთვე ი. ჭავჭავაძის პიესა „ნისლიანი დღეები“. სპექტაკლი თითქმის მთლიანად ახალგაზრდა ძალებით განახორციელა ასევე ახალგაზრდა რეჟისორმა ვანო გულაშვილმა. თეატრის შემოქმედებითა კოლექტივმა ამ სპექტაკლში გვიჩვენა 30-იანი წლების დასაწყისის ბოზოქარი სურათები. საბჭოთა სოფლის დიდმა სოციალისტურმა გარდაქმნებამ მნიშვნელოვანად განაპირობებს სოციალისტის გამარჯვება.

დამასხურებულმა არტისტმა ბ. ჯავახიამ და მსახიობმა ვარი მანგულაშვილმა შექმნეს საბჭოთა სახელმწიფოს მტრების, სასიკვდილოდ განწირული სოციალისტ კლასის წარმომადგენელია ტიპიური სახეები. სპექტაკლში დამაჯერებლად არის ნაჩვენები პარტიისა და კომკავშირის როლი წინააღმდეგობათა დაცევაში.

დასამსხორებელ სახეებს ქმნიან მსახიობები ნაზი არაიაშვილი (კომკავშირელი ვეკა) და ამირან მახარაშვილი (კომისარი ჯოტო).

თეატრში მოვიდა ნიჭიერი ახალგაზრდა. ამის დამადასტურებელია თუნდაც ი. ჭავჭავაძის „უღახის ნაამბობი“. ეს სპექტაკლი პირველ რიგში ყურადღებას იმყოფებს კარგად ჩამოყალიბებული იერსახეებით. სწორად გააზრებული, ტემპირებული ილიანებური გმირი წარმოსახა სასაღმარტისტმა ვახტანგ ჩელთისპირელმა პე-

სოთარ ჩხეიძე — „თედორე“ სცენა სპექტაკლად



პიას სახით. მისი ღირსეული პარტნიორია ახალბედა მსახიობი რამაზ ბუჭუყუარაშვილი. მას რეჟისორმა გაბრიელის რთული როლი დაკისრა. მსახიობი არ ცდილობს გარვეულ ეფექტებით მოხბობის მაცურებელი, მისთვის მთავარია გაბრის სულიერი სამყარო.

თელავის თეატრის რეპერტუარში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ქართულ თრიგინალურ პიესებს. მორალური სიწმინდისა და ოპტიმისტური რწმენის განმეტკიცების კეთილშობილურ მისიას ემსახურება ო. ჩხეიძის „თედორე“, ოჯახის სიმტკიცის, მგობრობისა და ამაღლებული სიყვარულის საკითხებს ეხმარება სპექტაკლები: გ. ბერიაშვილის „ბროწეულებს ცეცხლში ეკიდება“ და „სად ხარ ჩემი მებაღეო“. წარმატებით იღებენ რუსული და მოძუ

რესპუბლიკების დრამატურგთა პიესები: ა. არკანოვისა და გ. გარინის „ქორინთა ვეროპის მასტაბით“, თეატრის ოქროს ფონდშია ლერმონტოვის კლასიკური დრამა „მასკარადო“, შტეფან ცვაიგის „სახლი ზღვის პირას“ და მრავალი სხვ.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიუძღვნა თეატრმა ვ. კანდელაკის „ქართლის ჩირაღდნები“. ამჟამად ახალ სპექტაკლს ამზადებს. თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი მუდამ ახლის ძიებაშია. მის სცენაზე დიდი ზეღადის ვ. ი. ლენინის სახე ერთ-ერთმა პირველმა განახორციელა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ვ. ჩელთისპირელმა, ხოლო ი. ბ. სტალინის შობაჯონებელი სახე შემენეს დამასურებულმა არტისტებმა პ. ახვლედიანმა და ა. კუპატაძემ.

თელავის თეატრი თითქმის ყოველდღე სოფლებსა და მუზიხელ რაიონებში გასული წარმოდგენებს მართავს. ჩვენი რესპუბლიკის მრავალი რაიონისა და დედაქალაქის მავურებელი კარგად იცნობს, უყვარს და აფასებს თელავის თეატრის შემოქმედებით კოლექტივს.

დიდი შემოქმედებითი ძიება, შრომა იმისათვის, რომ თეატრი დადგეს შობილური კომუნისტური პარტიის პარტიისა და იენისის პლენუმების მოთხოვნისათა სიმადლეზე.

სულ მალე შენობის საკითხიც გადაწყდება — ქალაქის ცენტრში აიგება 800 ადგილიანი ლამაზი, თანამედროვე სტილის შენობა, რომელიც კახეთის გულს, ძველი თეატრალური ტრადიციების თელავს დამზენებს.

სანდრო

ახეებელის

უხნობი ნაილი

ჩხანი კუპლიკისია

ვახტანგ სიღამონიძე

საქართველოს სიძველეებზე მუშაობის დროს ჩვენი ყურადღება მიიპყრო სანდრო ახმეტელის წერილმა „ქართული თეატრის ისტორია“ (თეატრალური თვალსაზრისით). ავტორს ეს წერილი დაუბეჭდია 1917 წელს გაზეთ „საქართველოში“ (№ 5). ზედმეტია იმაზე მსჯელობა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ წერილს შესანიშნავი რეჟისორის მსოფლმხედველობის შესწავლისათვის.


ავტორი სამართლიანად შენიშნავს, რომ ჩვენში უმთავრესად განვითარდა კომედიები, ვოდევილები და ისტორიული პიესები. პირველს საძირკველი ჩაუყარა ვ. ერისთავმა კომედით „გაყარა“, ხოლო მეორეს — დ. ერისთავმა — „სამშობლოთი“. შემდეგ ეს ქართული დრამატული ნაწარმოებები იწერება ამ ორი პიესის ზეგავლენით და რა ფორმები უფრო შეეფერება ქართველი კაცის სულიერი დრამის გადმოცემას, ქართული თეატრის დაარსების დღიდან ვერსადა პიესებთ — ეს კი მთავარზე მთავარი იყო ყოველთვის ქართული თეატრისთვის.

სანდრო ახმეტელმა თავის ამ წერილში წამოაყენა ბრწყინვალე თეორიული დებულებანი ქართული დრამის და თეატრალური ხელოვნების განვითარების შესახებ. ეს შეხედულებანი უშუალო გავრძელებად უნდა ჩაითვალოს ახმეტელის მიერ 1915 წელს გაზეთ „საქართველოში“ დაბეჭდილი წერილებისა: „არის თუ არა ქართული თეატრი ქართული?“ — და „მომავალი ქართული თეატრი“.

ქართული თეატრის ისტორიის საკითხების პარალელურად ავტორის გამოთქმული აქვს ორიგინალური შესხედულება გენიალური ქართველი პოეტისა და მოაზროვნის ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების, კერძოდ კი „მერანის“ შესახებ. ჩვენს მიერ მიკვლეული ეს წერილი არ არის შეტანილი სანდრო ახმეტელის წერილების დღემდე გამოცემულ კრებულებში. ამიტომ მკითხველს ვთავაზობთ ამ წერილის მილიანად.

„XVIII საუკუნის დასასრული ქართველი ერის სულიერი ტრადიციის დასაწყისია. ზურჩხებთან ქვეყანას წილად ხვდა ერთხელ კიდევ განჯადა ისტორიული კულტურათობა, წილად ხვდა უქობად დავცალა შხამასმასალი აღსაყვ ფალა, ულმოებლმა ბედმა რომ გაუწოდა. ქართველი ხალხის აქტურმა სულმა არსებო-

ბისამ, დინამიკამ გრძნობათა განცდისამ მეტამორფოზის პროცესი განიცადა. ქართველს აღარ ძალუს, რაკი მას დამოუკიდებელი თავისუფლება მოუსპეს, სულიერად ჩაებლართის სამშობლოს, ვით საღმერთებელ კულტს, ვით იდგეს დიადი ნების, ვით სიმბოლოს უნივერსალი ცხოველყოფლობისას. მისი შემოქმედებითი მისწრა-



ფეხა, რაციოს საღარიო ჰქარავის იდეას საქართველოსა და თავად-
 ვინეებით უმღებობრივად მსოფლიო ბურჟუაზი სვედიანად დასუ-
 რავს. ტრავგვიშია შობილი ქართველის სული კლავ იხვევ ატყვივა.
 ვაშთა ვითარებამ მას მხოლოდ ხსენ უყვალა. ისტორიამ მოკლა
 ქართველი თავისუფალი, ქართველი ამაყი და გონიერი, ისტორიამ
 წარმოშვა ქართველი სვედის ქენჩენი, ვაგის ძეგრი, ინტენსივობა
 განცდის მისთვის ორსავე მდგომარეობაში თანაბარა. ინტენსი-
 ვის სული კართოლა ორსავე მხარეში ძლიერია, შეუპოვარი. თავისუ-
 ფალი წინდ, მთობის უღელგეშ სულიერ აღმავრებს გამსაგებები
 სურავებს. ცხოვრების სიღრმეზე, დღიური არსებობის სინთორე-
 სისახნეზე, ფიზიკური ტანჯვა-ვაგება, უსადღრო უზედურობა ქარ-
 თველ ვერ მიწიერი შემოქმედების უნარს უპობს. უსაქართველო
 ათველ კაცს მთელი სულიერი საუნჯე გაბოროტებულ მერნად
 ჰქცევია, და ცის მორვეში გამსაგებებულ დანავარდობს. ნიკოლოზ
 ბარათაშვილის ლექსი „მერანი“ განსახიერებთა ქართველი ერის
 სულიერი დრამისა XVIII საუკუნიდან ვიგრე 1850 წლამდე.
 „მერანი“ მთელი ეპოქის საჩუკა. ვერ ანის ეს მერანი, რომელიც
 მთა-ბარს, ტყეებსა და ღრეებს თავზე დაქორენს, რად მოზორდა
 სამშობლოს, საქართველოს და მსოფლიო სივრცეში გაიჭრა? სად
 მიპრის ან რა სურს მას? არავფერი. ცის აერ-მარეში იგი უმუხინდ,
 უგზო-უკვლად მიფრინავს.

„მერანი“ ქართველი ხალხის დიონისეა. მერანი მთელი კულ-
 ტა, სადაც ჩაქსოვილია ქართველი ხალხის გრძობითაა ლტოლვი-
 ნება, ვნებათა თროლოდა. XVIII საუკუნის შემდეგ ქართველი ერ-
 ცის გრძობა და ვნება, როგორც მერანი, ცის სივრცეს მისჩერებია.
 დანერგა მისი სათავაგებებელი კერძი და გაბოროტებულ სულს
 მსოფლიო ნავარდობაში ნავარდობითადა იქავეებს.

უგზო-უკვლო მიდამო, სადაც მერანი დაფრინავს, ბარათაშვილის
 ლექსებით, კულტისა აპოლონისა. ქართველი ერის გრძობისა და ვნე-
 მას აღარ აქვს ფორმა, აღარ აქვს ადგილი, აღარ აქვს სახე, კულტო
 აპოლონისა. კულტო აპოლონისა ქართველი ერისათვის ქოსსად
 იქვსა. საქართველოს იდეის სიკვდილი შემდეგ ვითარის იგი უსუ-
 ლგრო სივრცედ გადაიქცა. აპოლონი ფორმის, — უფორმიობის
 აპოლონიურ შეიცვალა.

თეო მფოსანი, მერანზე მჯდომი — ქართველის, მე-ა. მხედარ-
 თეო ქართველია, ქართველი ნება-დაკარგული, ნება-მოკლებული.
 მხედარი-ქართველი არ თუ არ ლამობს მერანის შეკავებას, შექრ-
 რებას, პირიქით, შევრებულად აღიზიანებს, აღმასხებს მას.

შეგი ყორანი, რომელიც თავს არ ანებებს მხედარს და მერანს
 თესულწუგუნულ სივრცედ და საზარელი ხიბი მას გულს უკლავს,
 ეს ის განცემა, ის ბედისწერაა, XVIII საუკუნის დასასრულის სა-
 ქართველოს რომ მოველინი.

ვიმთობე, „მერანი“ ბარათაშვილის ჩვენი ტრავგვიანია. მასთან-
 ვე ამ ლექსის შობილია შეუსცილად და შეუდარებელიც გამობატულია
 ხელღრეების მთელი შემეცნება. აპოლონი და დიონისე გრძობისთვის
 მოსწყენდნენ. ნება მოკვდა, განცება კი ამ გათიშვის ხელს უწყობს, რით
 და როგორდა შესძლებს ერი ხელღრეებში თავისი ცხარე რელიგიურ
 პანეგეში ჩამოაქანდაკოს.

ამ და, მერანი მიფრინავს, მიობის და საზღვარი არ უნანს
 მის ტყეებსა. არავინ იყის, საით მიოსწყრავის, არც ის, თუ სად გა-
 წერდება. არავინ იყის, როდის შესძლებს ქართველი კაცი თავისია-
 ნის აღდგენას, საქართველოს იდეის გაღვივებას, გრძობათა და
 ფორმათა შექვლებას. საჭირო ყოფილა ნახვარი საუკუნეზე მეტი
 დრო გასულიყო, რომ ერი ახალ სულიერ კერას მიმზრდებოდა. 1850
 წლის ორმაბათს, იანვრის 2-ს, დიდებულმა მამულშეშობმა გ. ანის-
 თაგმა პირველმა ჩააყარა საძირკველი ამ კერისა და მასთანვე უქნდა
 მერანის საწათსადგური, სადაც დაბოლის მას თავი უნდა შეეზარე-
 უნას. ორმაბათს, 2 იანვარს, 1850 წელს, გიმნაზიის დარბაზში
 პირველად იქნა წარმოდგენილი გ. ერისთავის კომედია „გაყარა“
 ქართულად. ამით დაიგდა ის გრძელმო, რომელზედაც უნდა გამოი-
 ჰქობის ახალი ბუნების ქართველი. ამ ისტორიულ დღეს დაარსდა

ტაძარი, სადაც ყოველი ქართველი დღიურ ჭირ-ვარამს მომორე-
 ბული, აპოლინი და დიონისეს კულტის ექსტაზით საქართველოს
 იდეის განსახიერებას უნდა შეუისისხობრიყდნენ. დიდებულთა ეს
 დღე, როგორც დასაწყისი დიდი კულტურული პროგრესისა.


ქართული თეატრის ისტორია ემტად მარტივია. 1850 წელს
 გ. ერისთავის მეთაურობით, რომელსაც მამინდელი მფოსნიცვალა
 ვრონიცევი ნივითრედ ემზარებოდა, შესდგა მუდმივი დასი და 5
 წლის განმავლობაში თბილისში განსტყობის იმართებოდა წარმოდ-
 გენებით ქართულ ენაზე. ქართული თეატრის დაარსებისათვის ადრევე
 ბევის ფიქრებდა ვირთვი ერისთავი, მაგრამ ამ საწყადების ასრუ-
 ლებას ბევრი დამარკოლება ეღობებოდა წინ. მთელ საზოგადოებაში
 თითო-ორთადა პირი თუ მოპოვებებოდა, რომელსაც კარგად ჰქონდა
 შეგნებელი თეატრის მნიშვნელობა. თეთ საზოგადოება, რომელიც
 ბრწყინვალე წოდებისაგან შესდგებოდა, სადათას ძილს მისცემბოდა.
 გინებებოდა და ქონებრივად ის ძალიან დაქვეითებული იყო. ჩვენი
 უკულტურო არისტოკრატია ხანდისხან წარსულისაგან თუ გადაიხვე-
 დავდა ხენებში, თორმე მომავალი მას სრულებით არ აფიქრებდა
 არავითარი სულიერი მოთხოვნებებს ამ ჰქონდა. ძალზე გაბოღბდა
 და გაგორბდა, ლობობა და ქორ-მეძებრობა — აი, მთელი მამინდელი
 ცხოვრების შინაარსი.

მხოლოდ მეჩორიოდენ პირი და მათ შორის გ. ერისთავსაც შეს-
 ტკიოდათ გული. გ. ერისთავს გულითა და სულით უნდოდა თეატრის
 შემწეობით ქართველი ერის შემოქმედების სულის გაღვივება, მაგრამ
 მისი განზრახვა უსახსრობის გამო, ვერ-ჯერობით შეუქსოვადელი
 რჩებოდა. მხოლოდ მისი პიესა „გაყარის“ ხელნაწერი ვრცელდებო-
 და საზოგადოებამ და ნელ-ნელა ნიადაც უმზადება და თეატრს.
 რაკი ვრონიცეგმა წლიურად 4000 მანეთი დაუნიშნა, გ. ერისთავიც
 შეუკავიათ შედგა საქმეს და ხუთი წლის განმავლობაში სამუდ-
 მოდ განამტკიცა თეატრის არსებობის აუცილებლობა ჩვენიში.

1855 წელს ვრონიცევი საქართველოდან წვიდა და თეატრის
 საქმეზე აიწუწ-დაიწუწა. დასს ჯამაგირი ვეღარ მისცეს, შემოსავალი
 მათ ვერ იხსნავდა. გ. ერისთავს ვეღარა გააწყურა და იძულებული
 გახდა დასი დაეხიზოვა და თეთონ თავის მამულში წასულიყო.
 ექსპის წლის განმავლობაში გ. ერისთავის და მისი მარადგენ-
 ხელის — შურბა ანტონოვის პიესებით თითქმის ყველა წარმოდგე-
 ნილი იქნა. ორიგინალური პიესების გარდა გადმითარგნა ბევრი
 უცხო ენის პიესაც. ხალხი შეგნეა თეატრს და 1855 წლის შემდეგ,
 როცა გ. ერისთავს თავი დაანება თეატრს, ზოგიერთმა საქმის მოყ-
 ვარებმა ივანე კერესელიძის თაოსნობით შეადგინეს ამხანაგობა.
 გამართეს საკუთარი სცენა, სადაც არი წლის განმავლობაში დიდი
 ვი-ვაგალით მართავდნენ წარმოდგენებს. ბოლის ეს ამხანაგობა
 დაამზალა და დაწყებულ საქმე სრულებით გაუმტედა. მართალია,
 ათასში ერხებულ კიდევ გაიმართებოდა ხოლმე კეროი ოჯახებში ქარ-
 თული წარმოდგენები, მაგრამ მათ საზოგადო სახითა აკლდათ. ამ
 დროის განმავლობაში ყველაზე მეტი სასახსურო თეატრისათვის
 მიუღებო: 2. ავალიშვილს, ან. ფურცელაძეს და ალ. რონიშვილს.
 24 წლის შემდეგ, სახელდობრ, 1879 წელს, შეადგინეს ამხანაგობა:
 დიმიტრი ყვიზინა, ნიკ. ავალიშვილმა, იოსებ ჰაქიაძემ, ალ. სა-
 რაიშვილმა და ილია ჭავჭავაძემ. შეაგროვეს ფული, დააარსეს დრა-
 მატული კომბეტა, გამორკვიეს ამხანაგობის წყუდება და 5
 სექტემბერს 1879 წელს სამუდამად ჩააყარეს საძირკველი სცენისა.
 ამ დღეს წარმოდგენილი იქნა ბარბარე ჯორჯაძის კომედია „რას
 ვეძებდი და რა ვაივ?“

1880 წელს კომიტეტმა ხელი აიღო თეატრზე და მეთაურობა
 ვასო აბაშიძემ და კოტე მესხმა იკისრეს. მათ შემდეგ თეატრი აკავის
 ხელში გადადის. მალე უკანასკნელმაც დაანება თავი და თეატრის
 ხელმძღვანელობა ისევ დრამატულმა კომიტეტმა იკისრა.

აი, მოხლედ ქართული თეატრის ისტორია, საზოგადოდ, თეატრ-
 ის განვითარება დრამისა და სცენის, ლიტერატურისა და
 თეატრისათვის განვითარება. ყოველივე დრამა მამონ არის ერთგუ-
 ლი, როდესაც ერთგულია სცენიურობა დრამისა. დრამის დედა-
 აზრი, მოქმედება შეიძლება კოსმოდინამიკურიც იყოს. სცენიურობა



კი დრამისა აუცილებელი ეროვნულია. მე ვლავარაკობ თეატრის მხრივ, აპოლონისა და დიონისა კულტების შეუღლების თვალსაზრისით, სცენურობა დრამისა კანკა მოქმედებას, ფორმა დრამის მოქმედებისა. აგრეთვე თეატრლობა სხვა სცენისა, ფორმა სცენა-ზე წარმოდებით დრამისა. ყოველივე დრამა სხვადასხვა სცენაზე ყოველივეს სხვადასხვა თეატრლობაში იხატება. ყოველივე სცენა განიხილება შემწილი თეატრლობით, როგორც ყოველივე დრამა განიხილება მოქმედების სცენურობით. აი, თუ ამ კონცეფციისა და ამ გემის მიხედვით შევუდგებთ ჩვენი თეატრის ისტორიის განხილვას, დავინახავთ, რომ ქართული თეატრი, როგორც საკუთრივ თეატრი, ჯერაც ისევე თეატრის ისტორიის პირველ სტადიას განიცდის. თეატრის ისტორია მაშინ არის დიდად ღირსშესანიშნავი, როდესაც დრამატული ხელოვნება ერის იდუმალი გრძნობისა და სულიერი ვითარების ეწაფება, განსახიერებას და კულტის შემწნას ლაშობს. 2 იანვარს, 1850 წელს, ჩვენში დაარდა თეატრი — გამართობი და დღევანდლამდე მას ეს სახე აქ უცვლია. თითი დრამის განვითარება ამისივე დამაშტკივებელია. ჩვენში უპირატესად განვითარება მიიღეს კომედიებმა, ვიდრე ვლდებდა და ისტორიული პიესებმა. პირველს საძირკველი ჩაუყარა გ. ერისთავმა თავის კომედია „გაყრაით“ ხოლო მეორეს — დ. ერისთავმა „სამშობლოთი“. მას შემდეგ ყოველსდროს იწერებოდა ან რთი პიესის წყვედლებით. როგორც კომედიები, ისევე ისტორიული პიესები დრამატული ხელოვნების მხრივ მტად უსტობენ. ყოველივე მათში არა თუ არ არის დატული მოქმედების განვითარება და სცენურობა, წინადა ლიტერატურის მხრივ სანიშნელი ტენდენციურობითაა სასვე და მცირე მიზანი აქვთ დასახული დრამა საქართველოში ქართველი ხალხის ცხოვრების კონცენტრისი კი არ გტრფის, არამედ ცდილობს ზოგიერთი მხარეებისა თუ იმ წოდებისა, რაც კი შეიძლება გაამასხროს. რომ ჩვენში დრამა-კომედია შესაფერისი განვითარება ვერ მიიღო, ამტკიცების ის გარემოება, რომ საზოგადო თეატრის და არა მარტო, სცენაზე თითქმის დღევანდლამდე აქტივია მსახიობი და არა დრამატურები. მაშინ, როდესაც უცხო ქვეყნებში დრამა ჰქმნის სცენას, სახიობისა, ჩვენში სცენა უკარანახებს და ჰქმნის დრამას. მიუღი რთი ატორებისა სწენ შემოღო იმიტომ, რომ საზრდო მისცემ ამბ თუ იმ მსახიობს. მე დარწმუნებული ვარ, აუარებელი პიესები დაწერილიათაა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენს სცენას ჰყავს ე აბაშივი. ატორი თავის ნაწარმოებს უპირველესად მსახიობის უწყემდებარებს. დღევანდლამდე ჩვენ არა გვაქვს არც ერთი ნამდვილი კომედია, თუმცა იმ წელიწადისა მხოლოდ კომედიების გარშემო ტრიალებთ.

ასევე თიქმის სცენური თეატრლობაზე, დრამის განსახიერების შესახებ სცენაზე. ქართული თეატრის დაარების დღიდან ვერსად ჰპოვეთ იმის ნიმუში, რომ ჩვენს თეატრში ადგილი ჰქონდა. ერთეული თეატრლობის მცირეოდენ შესწავლა — კვლევა-ძიებას. ყველა დრამა ჩვენს სცენაზე იდგება და ისახება ისევე, როგორც 1850 წლებში. აი ყოფილა მავალით, რომ დრამის ინტერპრეტაცია სცენისათვის სულ უბრალო კამათი მაინც გამოიწვიოს ხელი-დახა შორის. მაშინ, როდესაც საზოგადოდ, სცენური ხელოვნებაში სწორედ ეს საკითხია მეტისმეტად თავსამტკრევი. მრავალი შრომა და უნარი სწორედ თეატრლობის ფორმის გამოკვლევაზე იხარება, გაუნებელიდ იმერევა ერთი სცენება, შეხედება მეორე. ჩვენში იმ წლის განმავლობაში დრამა სცენაზე შამლონურ ეგამის განსახიერებას ჯერაც არ გასცილებია. ჯერაც არ ვიცით, თუ როგორ უნდა იყვეს კულტურა აპოლონისა, რა ფორმები უფრო შეეფერება ქართველი კაცის სულიერი დრამის დამოკლებას ამის ერთადერთი მიზეზი ის გარემოებაა, რომ დრამა ეგვემდებარება სცენას და არა სცენა დრამას. მხოლოდ ჩხოვოვსა და ისტორიკოსის პიესებში შეაძლებინეს სტანისლავსკის, სანინის, ნემროვიჩ-დანიჩენოს, განსვენებულ სულერგიევის, შორსრესკის ეროვნული თეატრლობის დამუშავების შესაძლოდნენ. სცენის ხელოვნად მისხავს იმის, რასაც ხელოვნად დრამისა მას აწევის, ნათქვამით ცხადია, რომ ჩვენმა თეატრმა დღევანდლამდე ვერ მოგვცა ვერც ეროვნული დრამა და ვერც ეროვნული

თეატრლობა. სამაგიეროდ, ქართულმა თეატრმა შექმნა თეატრლობა კერძოდ ინდივიდუალური, ამა თუ იმ მსახიობისა. დიდებულადამიანია გასა აბაშივი, არა როგორც მსახიობი, არამედ როგორც პირველი შემქმნელი და საქრკლის მანყნელი ეროვნული თეატრლობისა კომედიამი. თეატრლობის განვითარება ამ დრამში უსათუოდ გავრცელება იქნება გ. აბაშივის მიერ შექმნილი თეატრლობისა. მიუღი მისი განსახიერება ნამდვილი ქართულია, მხოლოდ ჩვენი. მის მიერ შექმნილი სასცენო ფორმები, თეატრლობა სცენაზე, — ქართული კულტურაა. ვერც ერთი ნიჭიერი მსახიობი გვერდს ვერ აუტოვებს გ. აბაშივის თეატრლობას, მხოლოდ მასში ჰპოვებს შემოქმედების საშარის. იგივე თიქმის საფარო-აბაშივიზე, რომლის მიერ შექმნილი თეატრლობა უსათუოდ დედამიად დაიღება მიომადეს სასცენო ხელოვნებას. დღესაც ყოველ ახალ მსახიობში ჩვენ გვედავთ მინიატურულ ვასო აბაშივის, საფარო-აბაშივის, ლადო მქსნიშვილს და სხვა. საგმირონა საქმენი მათი იმიტომ, რომ თეატრლობის შესაქმნელად ჩვენს საზოგადოებაში დღესაც არავითარი საზრდის შოვნა არ შეუძლიათ. ყოველსდროს, რასაც ჩვენ კულტურულ საზოგადოებაში დუნდასვთ, თეატრლობის მხრივ, უსათუოდ თითოეტიური სირცხელი უნდა გამოიწვიოს. ძნელად თუ შესვდებით ისტორიის ახალც ისეთ ინტელექტუალის ფაჯას, სადაც ითახების სულ მცირე ესთეტკური ნიშანი მაინც გაჩნდეს. ძნელად თუ შესვდებით ინტელექტუალ ქალს, თუ კაცს, რომელიც თავის გარეგან მიზრთაზე, მოწყობლობაზე დიდად მაინც ფიქრობდეს. დააკვირდით ქართველ ვაქს, ქართველ ქალს, როდესაც იგი ან ჯდება საკაშზე, ან დგება, ან დადის, ან თავს გვიგავთ, და დარწმუნდებით, რომ მართლაც მისი მოზრთაბა ესთეტკურად სასირცხვია. ასეთ პირობებში ის ქართველი მსახიობი, რომელმაც თავისი ნიჭით და მხოლოდ პირად უნარით თეატრლობას საძირკველი ჩაუყარა, მართლაც კულტურული გმირია.

აი, ყველა ეს ნებას მამდებს ვალიარო, რომ ქართული თეატრის ისტორია უპირველესად ქართველი მსახიობის ისტორიაა. როგორც რუსეთში თეატრალური ხელოვნების დასაწყისს მირალოვში და კარტიკიში მსდგებოდა, ისევე ჩვენში თეატრალური ხელოვნების ისტორია გასა აბაშივისა, საფარო-აბაშივისა და მქსნიშვილისაა იწყება. თეატრალურ ხელოვნებას მათ ჩაუყარეს საძირკველი და ისტორიაც მათ დაიწყო.

ორშაბათს, 2 იანვარს, 1850 წელს გ. ერისთავმა სათავე დაუდო დიდებულ კულტურულ პროგრესს. თეატრის მხრივ მან მხოლოდ პრიმიტივი მოგვცა, მარამ ვინ არ იქის, რომ ისტორია პრიმიტივს გვერდს ვერ აუხვევს. დიდება ერთსდავისა იმისა, რომ ქართული ხელოვნის ვითარებას მყუდრო ნავთსაფერი გაუჩინა. კულტურა თეატრისა — უმაღლესი ბედნიერებაა ერისა და ჩვენც ვერსამ, რომ ქართველი იპოვის სახეს და გადამტრევის თავის შემოქმედებით დიდს თეატრალურ ხელოვნებაში. ბარათაშვილის „მერანში“ გამოსახული სულიერი დრამა ქართველი კაცისა მხოლოდ აქ ჰპოვებს თავის ფორმას.

სამწუხაროდ, ქართულ თეატრს უკანასკნელ წლებში კვლავ დაატყდა სანიშნელი უბედურება. შავი ყორანი მერანთან მყოფი, ცეცხლის სახით მოვიდინა ჩვენს თეატრს და ძირნადაც დახოცა. მას შემდეგ ქართული დრამატული ხელოვნება შიშობლიურ კერას მოსწყდა და მისი მსუქნური ქაჩნაშ დაჩრჩნენ. ქართველი საზოგადოების ვალია, თუკი მას სწამს სამშობლო კულტურა, თუკი ფიქრობს პირნათლად შესვდეს მომავალს, სურს დასდეს კაცობრიობის წინაშე, ვითა შვლით კულტურისანი ერისა, იზრუნოს დაუყოვნებლივ ქართველი თეატრის აგებისათვის, მხოლოდ ის არის ჩვენში ქართველი, ვინც ქართულ ხელოვნებას გულითა და სულით გტრფის. ვიცოდეთ ეს და ყოველთვის ვგასმოვადეს“.

აღნიშნული წერილი არ ყოფილა შეტანილი სანდრო ახმეტელის წერილობის დიდებლ გამოცემულ კრებულებში და მომავალში მაინც არ უნდა იქნეს გამოტოვებული.

გიგო გაბაშვილის

უცხოი სკაიი

ვლადიმერ ჯაფარიძე

ჩვენი ხალხი სათუთად ინახავს დიდი ქართული მხატვრის გიგო გაბაშვილის სახელს. სიყვარულით და ყურადღებით ეკიდება ყოველ მის ნაწარმოებს, როგორც ერთგული ხალხის გამოვლენების მრავალმეტყველ ნიმუშს.

გ. გაბაშვილის ფერტილივი სახლურობითა და ღრმა ეროვნულობით არის გამსჭვალული. ყოველი მისი ნამუშევარი ქართული იკონტურის ოქროს ფონდს ამშვენებს.

მხატვრის შემოქმედებითი მემკვიდრეობის უდიდესი ნაწილი ხელოვნებათმცოდნეობისათვის ჯერ კიდევ უცნობია და დაკარგულია დღევანდელს.

აი რას ამბობს პროფ. მ. დღუღუაჯა: „გიგო გაბაშვილი, — ორი ათასზე მეტი სურათი, ესკიზი, ნახატა, გეგოდა და მონასხი შექმნა, და უდიდესი ნაწილი ამ შესანიშნავი მემკვიდრეობისა უცნობია და უგზოუკვლოდ გაუანტკულია“¹.

ასეთივე აზრისაა გიგო გაბაშვილის შემოქმედების მეორე მკვლევარი ი. ურუშაძე, იგი თვლის, რომ მხატვრის მრავალრიცხოვანი ნაწარმოებების დიდი ნაწილი დაკარგულია, ან საზღვარგარეთ არის შემორჩენილი.

ამდენად უფრო სასიამოვნოა და საყურადღებო ამ შესანიშნავი მემკვიდრეობის უგზოუკვლოდ გაუანტკული ნამუშევრებიდან რე აღმოჩნდება რაიმე, სურათი ან უნარბლო მონასხი კი. ჩვენთვის ყველაფერი საინტერესო და ძვირფასია.

და აი აღმოჩნდა კიდევ ერთ-ერთი მათგანი, რომელიც ჩვენი საზოგადოებისათვის და, ვფიქრობ, ხელოვნებათმცოდნეობისათვისაც უცნობია და შეუსწავლელი.

გიგო გაბაშვილის ეს უცნობი ნამუშევარი აღმოჩნდა შემთხვევით, ყოველივე ძიებისა და კვლევის გარეშე. ესაა ტილოზე ზეთის ფერებში დაწერილი ახალგაზრდა ქალის პორტრეტი (75×40). ახალგაზრდა ქალი მოცემულია ანფასში ნახურალურზე ღღანე მეტი ზომით, მარჯვლიდის მხივით აცმული ყელსაკიდით და მოზრდილი გულის ქინძისთავით. ეს ახალგაზრდა ქალი

არის ივანე მაჩაბლის ქალიშვილი, ელენე მაჩაბელი-ჩერქეზიშვილისა. პორტრეტი ამდენ ხანს ჩერქეზიშვილების ოჯახში ინახებოდა.

როდის და რა პირობებში დაიწერა ეს პორტრეტი და რა იყო მიზეზი იმისა, რომ დიდი მხატვრის ეს სასესებო დასრულებული ნაწარმოები დღემდე სრულიად უცნობი დარჩა ფართო საზოგადოებისათვის?

სახელოვან მხატვარს, გიგო გაბაშვილს იმთავითვე ახლო მეგობრობა ჰქონდა ივანე მაჩაბლის ოჯახთან და მათი ხშირი სტუმარიც იყო, მაგრამ ოჯახის წევრთა დახატვა არ უძლია.

მხოლოდ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში (1930-1933 წ. წ.) განურჩავს მაჩაბლების ოჯახის წევრის — ელენე მაჩაბლის პორტრეტის დაწერა².

პორტრეტის დაწერის რამდენიმე სეანსი მოაღწიდა დიდმა მხატვარმა. მხატვარი დაეჩინებოდა ენებდა ზუსტ მსგავსებას, რაც ადვილიად არ უხერხებოდა, ალბათ მოხუცებულობის გამო.

„მეამაყებოდა, რომ ასეთი გამოჩენილი მხატვარი წერდა ჩემს პორტრეტს, მაგრამ ჩემს თავთან მსგავსებას ვერ ვხედავდი და ამიტომ დაწერილის სილამაზევ არ მიტაცებდა მაინცდამაინც, — აღნიშნავს ქ. ელენე, — თვითონ მხატვარც საკმაოდ ნერვიულობდა ამის გამო“.

მხატვრის გარდაცვალების შემდეგ 1936 წელს მის მეუღლეს გამოუგზავნია პორტრეტი ელენე მაჩაბლისათვის. ასე მოხდა ეს ნამუშევარი მხატვრის არქივიდან ჩერქეზიშვილების ოჯახში.

წლების განმავლობაში პორტრეტი ქართული საზოგადოებისათვის უცნობი იყო.

ერთხელ საუბარში ქ-ნა ელენემ თავის პორტრეტთა შორის გიგო გაბაშვილის ნამუშევარიც მოიხსენია.

ამ ამბავმა დამინტერესა და ვისოფე ენენებინა.

მეორე დღესვე ვესტუმრე ჩერქეზიშვილების ოჯახს და ვიხილე გიგო გაბაშვილისათვის დამასსიათებელი მანერით და იმივითი კოლორიტი, ნახ და წყნარ ფერებში დაწერილი პორტრეტი³. ტილო ოდნავ მოძველებულია. ფერები აქა-იქ დამსკადრა და დაზიანებულია.

გაგვიჩვენებულ ვიყავი იმ გარემოებით, რომ ასეთი ღირსეული ნაწარმოები უჩინრად იყო დადებული წლების განმავლობაში და მიზეზი ვკითხე მასპინძელს.

— ღირსეული რომაა, ცხადია, — მიპასუხა ქ. ელენემ, — რადგან დიდი ხელოვნის ნათელია და, მასასადე, საინტერესო საზოგადოებისათვის; მაგრამ მე უკვე მოგასტყნე, თუ რა რიგ გულგრილად იყო განწყობილი მის მიმართ თვით ავტორი, არც კი გამოაქვეყნა. მეც სწორედ ამიტომ შევიკავე თავი მისი საკაროდ გამოტანისაგან. თუმცა მოწიწებით ვინახავდი, რადგან მწამდა და დღესაც მჯერა, რომ ის თავის მნიშვნელობას არ დაკარგავდა და ოდესმე მხატვრულს თუ არა, ისტორიულ როლს მაინც შესრულებდა.


რასაკვირველია, ნამუშევარი ვერ გაუსწრებეს მხარის ავტორის ახალგაზრდობაში შექმნილ შედეგებს, მაგრამ ის მაინც დიდი შენაძენია.

პორტრეტზე ავტორის ხელმოწერა არ ჩანს და არც თარიღია აღნიშნული; ამიტომ ჩემს ძმას უჩას ვაჩვენე. უჩა უმაღლეს ინტო მასწავლებლის ხელწერა, ნასიამოვნები დარჩა მისი ხილვით.

„პირწარდნლილი გიგო გაბაშვილია! — თქვა მან ბოლოს, — ოღონდ მისი სიცოცხლის უკანასკნელი წლების“.

მხსრულების მანერა, კოლორიტი, ტექნიკა და, რაც მთავარია, თვით ელენე მაჩაბელი-ჩერქეზიშვილის უცილობელი დამოწმება, ცხადყოფს იმ უდავო ფაქტს, რომ ეს უცნობი ნამუშევარი დიდი ისტატიის გიგო გაბაშვილის მუწერს ცვეთვის.

როგორც ელენე მაჩაბელი აღნიშნავს,



გიგო გაბაშვილი გრიბოედოვის ქუჩაზე, ახლანდელი სამხატვრო აკადემიის შენობაში ცხოვრობდა თავის მეუღლესთან ო. მიულბაუმიან ერთად. მათ ზემო სართულზე ორი ოთახი ეკავათ. დიდი ოთახი მათ სახელოსნოდ და სასტუმროდ ჰქონდათ გამოყოფილი, უფრო პატარა კი — საოჯახო საქმიანობისთვის.

„ო. მიულბაუმი კულტურული ადამიანი იყო, და ხშირად წერდა დღიურებს, — შენიშნავს ელენე მაჩაბელი, — მასში აღ-

ბათ საინტერესო მასალა იქნება გიგო გაბაშვილის ცხოვრების შესახებაც.

ზამთარში, როდესაც ძლიერ აცივდებოდა, შემის უქონლობის გამო (ბინას მთლიანად ვერ ათბობდნენ), გიგო მთელი სამუშაო იარაღებით გადადიოდა პატარა ოთახში, სადაც თუნუქის პაწია ღუმელი იდგა და იქ მუშაობდა. ჩემს პორტრეტსაც იმ პატარა ოთახში წერდა“.

საოცარია, რომ დიდი ხელოვანის საცხოვრებელი ბინა და სახელოსნო, სადაც მხატვარს არა ერთი ბრწყინვალე ტილო

დაუწერია, არ არის აღნიშნული მემორიალური დაფით.

1 მ. დუღუჩაია, გიგო გაბაშვილი, თბ., 1963.
2 ი. ურუშაძე, გიგო გაბაშვილი, თბ., 1958. (რუსულ ენაზე).

3 1963 წელს ეურნალ „დროის“ მე-12 ნომერში შეცდომით გიგო გაბაშვილის სურათი ჟურნალის კალა სააღდგომო კვირვლით ხელშეწყობის (ელენის დედა) პორტრეტად ეს ელენე მ. მაქალაძე უარყო.

4 ამ არ შეუვლდებოდა აქ ნამუშევრის მხატვრულ ანალოზს, ამის შესახებ სიტყვა სპეკულატებზეა.

მხატვრის

ხელმოწევა

ეთერ ჟორბოლიანი

სვანეთის სოფელ მუჯალში დაიბადა ვარლამ მახარბოლძე. ეჭვს წლის მამამ სოფელ იფარის სამრევლო-საეკლესიო სამწიგნობრო სკოლაში მიიბარა. ბავშვი თავის ნათესავთან გიორგი ტვილიანიან ცხოვრობდა.

პატარა ვარლამი კარგად სწავლობდა. სვანებს კარგად ითვინებდა, მაგრამ მოსვენება დაკარგა, მის ბავშვურ აღმას იტაცებდა ცის ლილისფერი ტატნობი, დრუბლებში პატარაღვივთ ვახვეუნი თეთრი მთები, ნაყრისტყვი ხავსმოკიდებული კომკები, მიუვლი საჯიხვეები და უღრანი ტყეები. მთელი დღეები დახეტებოდა საცაფხუბო ბოლიკებზე...

ოთახის კედელზე ვარლამს ნახშირით სვანური მალაი კომკები აღუმართა. კომკებს ცხოველები და ფრინველები მოჰყავდა და ტილდიანების ოჯახი პატარა მხატვრის პირველ სალიანდ იქცა.

მაღელ მხატვრის სახატავ მასალას — ნახშირის წითელი-ლურჯი ფერის ფანჯარა შემემატა, რომლითაც მოისინებდა ვ. მიმინიშვილმა დასწავლა. ვარლამ მხატვრული კიბოვა და ხმებრეკა ეცხრებოდა. იფარში სწავლის დამთავრების შემდეგ იგი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ჩაირიცხა.

აქ იგი დუშუბორბადა გალაკტიონ ტაბიძეს და აკაკი მარგანს. მითათნ ვარლამ ვარლამი მოსწავლეთა რევოლუციური კომიტეტის აქტიური წევრი იყო.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ხატავს არ ასწავლიდნენ, მაგრამ ვარლამში მხატვარი არ ისვენებდა... პატარა მეგობრებს ვარლამმა, გალაკტიონსა და აკაკის ხშირად ხედვადნენ ბაგრატიის ტაძარზე.

აქედან ზღაბრულ მშვენიერად აღმართული მალაი ხამიდი და ნაჭურა. მთელი დღე სხვადსხვა ხედვებს ხატავდნენ ვარლამი და გალაკტიონი, ლექსებს თხზავდნენ აკაკი და გალაკტიონი...

— სიკვდილამდე ორი თვით ადრე თბილისში ვნახე გალაკტიონი. — იფარებს ვარლამი, — ხელი მომიხდა და მიხიხრა — იცი, ვარლამ, ბაგრატზე ჩახატული ჩენი ნახატები უნახული მაქვს!.

1909 წლიდან ვარლამი პედაგოგიურ სარბილზე მოღვაწეობდა. იგი მუშაობდა ცაყერის ორკლასიან სასწავლებელში, ყველდრეშის სამრევლო სკოლაში, ლიალამის უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში, ორბელის სკოლაში, სადაც 25 წლის მანძილზე სხვა სვანებთან ერთად ასწავლიდა ხატვა-ხაზვას და მუსიკას. პედაგოგობის შესანიშნავად უთავსებდა საყვარელ პროფესიას — მხატვრობას.

1929-1932 წლებში ვარლამ მახარბოლძე თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა, მაგრამ ოჯახური მდგომარეობის გამო მისი დაშორებდა ვერ შესძლო.

გ. მახარბოლძე ათი წელია პენსიაშია და თავის ნიჭსა და უნარს ხალხის სამსახურს ახმობს.

მხატვრის ფუნჯს 400-ზე სურათი გკუთვინს. ლექსმ-სვანეთის წიაღში აიღვა ფეხი და გაიშალა მხატვრის შემოქმედება.

ადრეულ პერიოდს მიეკუთვნება გალაკტიონის ლექსების „წმინდა გიორგისა“ და „ღმინისი“ ილუსტრაციები, რომელთა ფერად-ფოტოგრაფირებები დიდმა პოეტმა 1957 წელს რეინციხის კულბში თავისი ლექსების ხელნაწერების გამოფენაზე წარმოადგინა.

დუშუბორბი ცხოვრებით დატანჯულ სვანებს თოღის თეთრი ტალღა ქვესუნელში ჩაიტანდა ხოლმე, „ზვიავი“ — ასე წარმოსახა მხატვარმა მარილის საომრელად საცაფხუბო ბოლიკებით წამოსული სვანების ტრაგედია.

ლექსებში ხალხის მამინდელ ბედარულ ცხოვრებას ასახავს ფსიქოლოგიური სურათი „მომაკვადვი ძმას“. ძნელი გულგრილად უქმრობი ლამობი განათებულ ფიქრით ტახტზე გამოტილ ვაეკატს, რომელიც სიციხეს ეთხოვება, თავზარდაცემული ოჯახის წევრები კი ცდილობენ თავიანთი მწუხარება შეაკავონ მომაკვადვი წინაშე.

ხალხის ყოველდღიურ შრომით ცხოვრებას ასახავს სურათები: „სიმინდის თონხა ღერებში“, „თიბავ სვანეთში“, „აკლავთ სვანეთში“, „ოხისა და ხარის ჯოგი სვანეთში“ და სხვ. მხატვარმა 1905 წლის რევოლუციურ ქარტახილვებში უძღვნა თავისი ტილოები „პირველი სვანეთის“, „ავანთის სვანეთში“, „გარდაცხადების მკვლელობა სვანების მიერ“, „იმპერიალისტური იმი“ და სხვ. ახალი ცხოვრება მთელი ძალით შემოიჭრა მხატვრის ცხოვრებაში.

რევოლუციური სულის მხატვარმა უფრო მოხერხებულად მოიმარჯვა ფუნჯი და მალე ტილოზე გაჩნდა დიდი ცხოვრების ამსახველი სურათები.

სვანეთის მარადიოღიანი მწვერვალები მაგიური ძალით იზიდავენ სპირტუალურად... იგი მოამსჯელეთა მხარედ იქცა, ამას მოგვითხრობს სურათი „მოამსჯელები“. ბევრი მოუხიბლავს სურათი „ქორწილი კოლმეურნის ოჯახში“. წუგბდელი ლაქმეული კაცის ოჯახში დიდი ღმინია, ჯროში ცხენები ყალბეზე დადგანან. იქვე ცვეკვა-თამაშია და ეს ყველაფერი გაშლილია საცირად გამჭვირვალე ლილსფერი ღამისა და თოღიანი მთების ფონზე. ღმინის განწყობილება ვადიდებია მთერ მხარეს გირაკა შეფენი სინათლით სავსე ოღებს.

მხატვრის თვალს მთაში ცხოვრების არც ერთი მიმჩნეობი არ გამოჩენია. ლაქარგობის მშენებლობა სოფელ ლაქანში მცხოვრებით ვარლამისათვის უახლოესი თემაა. რამდენიმე ტილოც შეუქმნია.

გ. მახარბოლძის ოსტატობითა და გემოვნებით გადმოაქვს ტილოზე მთის შემოდგომა. ამ მხრივ გამოირჩევა „შემოდგომა ლერწმში“, სადაც ცისფერი და ოქრისფერი საფარის სინათლითა შერეული ერთმანეთში და პოეტურ განწყობილებას ქმნის.

სულ სხვა ფერადოვან გამაშია გადაწყვეტილი „ავარაკი მუში“, სადაც ფიჭვისა და ნაძვის სიმწვანე საღამოს მშვედ ფერებთან შემხატებულა. სურათი — „რევაზ მარგიათა“ თვალწარმტაცია სვანური პიუზავი, ცამდე ახატულან მალაი მთები, მხატვარმა შესანიშნავად გადმოგვცა პოეტის ამაღლებული სული, მძიმე მღელვარებ ბუნება და ეპიკურად შემართება.

მთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის საიუბილეოდ მახარბოლძემ დაწერა ტილო „მთა რუსთაველი თამარ მეფის ამალი“. თამარი სვანებს სწევია. თან ახლავს მხარგრძელო, მთა და სხვადსხვა კუთხის წარმომადგენლები. სურათი რიტმული და დინამიურია.

ხანგრძლივი შემოქმედების მანძილზე გ. მახარბოლძემ 21-ჯერ მოაწყო გამოფენა. მისი ნიჭის გაფორმებას ხელი შეუწყო მხატვარი ივანე ბაქსცითან მეგობრობამ.

ახალგაზრდ მხატვარმა 1911 წელს თავისი ნამუშევრების გამოჩენა მოაყუ ქუთაისში კლასიკური გიმნაზიის დიდ დარბაზში.

1924 წელს თბილისში ჟურნალის „ოეგტრი და ცხოვრების“ რედაქციაში მოეწყო მისი ესკიზების გამოფენა, რომელმაც მწახველების ინტერესი აღარა.

1930 წელს იანგრა თბილისში მოწყობილ გამოფენაზე ფართოდ იყო წარმოდგენილი გ. მახარბოლძე. ჟურნალ „დროშამ“ წე-





მესტიის კოლმეურნობის ფერმა

რილში „საყურადღებო გამოფენა“ მაღალი შეფასება მისცა მის სურათებს.

